თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2014 წლის 18 ივნისის სხდომის ოქმი #8

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი 25, სტუდენტები 5, სულ 30 წევრი.

დღის წესრიგი

1. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭებაზე კანდიდატების წარდგენის შესახებ (დანართი #1)*

/ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

2. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.*

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

3. *მიმდინარე საკითხები*

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: *ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭებაზე კანდიდატების წარდგენის შესახებ (დანართი #1)*

/ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. გ. ღაღანიძემ, ასოც. პროფ. თ. ბერიძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

I. პროფესორი რამაზ აბესაძე და აკადემიური დოქტორი შუშანა მარგველაშვილი წარდგენილ იქნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალზე;

II. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.*

/დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის 1999 წლის კურსდამთავრებულ ***მამუკა არაბულმა*** *დიპლომის შეცვლის თაობაზე დიპლომში დაშვებული ტექნიკური უზუსტობის გამო. ახალი დიპლომის გასაცემად ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ 1999 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის მიერ მზადდებოდა ბრძანების პროექტი, რის საფუძველზეც გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. საარქივო მასალებიდან გაირკვა, რომ 1999 წელს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე ოთხი კომისიის მიერ წარმოებული იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის*

16 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებული იყო თარიღი. რაც შეეხება ოქმის ნომრებს, ისინი არ იყო მითითებული მხოლოდ ორ ოქმზე (იხ. დანართი №1.)

პირველ რიგში ყურადღება მიექცა იმას, თუ რის საფუძველზე ინომრებოდა სახელმწიფო საგამოცდო კომისის შემაჯამებელი სხდომის ოქმები, რადგან იგივე პრინციპით მომხადარიყო ოქმებისთვის ნომრების მინიჭება.

1999 წლის 29 ივნისს ერთი კომისიის მიერ წარმოებული ხუთი ოქმიდან, ოთხს ჰქონდა მინიჭებული №6. როგორც ჩანს ამ დღეს ერთი კომისიის მიერ წარმოებული ყველა ოქმი დანომრილი იყო 6-ით. მაშასადამე, მიზანშეწონილია უნომრო ოქმისთვის მიგვენიჭებინა №6 და პირობითობის აღსანიშნავად დაგვემატებინა ასო „პ“.

*მეორე კომისიის მიერ **1999 წლის 11 ივნისს** წარმოებული ხუთი ოქმიდან ერთი ოქმი არის უნომრო. როგორც საარქივო მასალებიდან გაირკვა, 1999 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომები ტარდებოდა 11 ივნისიდან 2 ნოემბრის შუალედში. პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომა ჩატარდა მასობრივი კვების მენეჯერის სპეციალობაში და კომისიამ დაადგინა, რომ „სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ზვიად აბულაძეს მიენიჭოს სათანადო კვალიფიკაცია და მიეცეს შესაბამისი დიპლომი მასობრივი კვების მენეჯერის სპეციალობით ეკონომისტის კვალიფიკაციით“. ამ ოქმს არ აქვს ნომერი მინიჭებული და თარიღდება 11.06.1999-ით. იგივე კომისიის მიერ არის გაფორმებული კიდევ ოთხი ოქმი: 15 ივნისს, რომელთა ნომრებია №1 და №2, 19 ივნისს ოქმი №3 და 26 ივნისს ოქმი №4. რადგან, აღნიშნული უნომრო ოქმით იწყება სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომები, მიზაშეწონილია წარმოდგენილი უნომრო ოქმის ნომრად განისაზღვროს №1 და პირობითობის აღსანიშნავად მას დაემატოს ასო „პ“.*

უნივერსიტეტს განცხადებით მომართეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულებმა ციური ირემაშვილმა და თამარ ტყემალაძემ დიპლომის დაკარგვის გამო, გოგი ხულელიძემ დიპლომში არასწორად შეტანილი დაბადების თარიღის გამო და ნუგზარ უძილაურმა დიპლომში არასწორად მითითებული აკადემიური ხარისხის გამო. ახალი დიპლომის გასაცემად ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ 2006 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2006 წლის კურსდამთავრებულებზე - თამარ ტყემლაძე, ციური ირემაშვილი, გოგი ხულელიძე და ნუგზარ უძილაური - ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგინდა, შემდეგი:

თამარ ტყემალაძე და ციური ირემაშვილი 2002 წელს ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო

საქმის სპეციალობაზე, ნუგზარ უძილაური 2002 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაზე (მათი ჩარიცხვის ბრძანება - №4/970, 2.08.2002), ხოლო გოგი ხულელიძე 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი არასაბიუჯეტო სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 26.08.2000). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თამარ ტყემალაძემ აითვისა 275 კრედიტი, ციური ირემაშვილმა - 253 კრედიტი, გოგი ხულელიძემ - 289 კრედიტი და ნუგზარ უძილაურმა - 264 კრედიტი. 2006 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ თამარ ტყემალაძეს და ციური ირემაშვილს მიენიჭათ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით, დაუსწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ გოგი ხულელიძეს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით, და დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნუგზარ უძილაურს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (თსუ რექტორის ბრძანება №33/01-04, 31.01.2007 – საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის წარდგინება, ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (ოქმი №3)). ვინაიდან, მათთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 25 ივლისის სხდომაზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. ფაკულტეტის საბჭომ დაადგინა, რომ საბაკალავრო პროგრამის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულებს (მ.შ. თ. ტყემალაძე, ც. ირემაშვილი და გ. ხულელიძე), ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოთ ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხოლო საბაკალავრო პროგრამის „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის“ სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ნ. უძილაური), ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოთ ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საქმის წარმოებისას გაირკვა, რომ თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №33/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის 24 ოქტომბრის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმი №3) საფუძველზე თამარ ტყემალაძესთან, ციური ირემაშვილთან, გოგი ხულელიძესთან და ნუგზარ უძილაურთან ერთად 2006 წლის სხვადასხვა სპეციალობების კურსმოსმენილებს (იხ. დანართი №3.), კერძოდ:

1. *ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით მიენიჭათ:*

- *დასწრებული სწავლების ეკონომიკური თეორიის 19 კურსმოსმენილს, სტატისტიკის სპეციალობის 35 კურსმოსმენილს, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 218 კურსმოსმენილს, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 90 კურსმოსმენილს, მაკროეკონომიკის სპეციალობის 35 კურსმოსმენილს, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 100 კურსმოსმენილს, შრომის ეკონომიკა და სოციოლოგიის სპეციალობის 22 კურსმოსმენილს, წარმოების ეკონომიკა და მართვის სპეციალობის 31 კურსმოსმენილს.*
- *დაუსწრებელი სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 8 კურსმოსმენილს, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 61 კურსმოსმენილს.*

2. დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში ეკონომისტის კვალიფიკაციით (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეორე სპეციალობა) მიენიჭათ ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 13 კურსმოსმენილს, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 1 კურსმოსმენილს და წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის 1 კურსმოსმენილს.

ვინაიდან, არ იძებნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულების სახელზე გასაცემი დიპლომის ახალ ფორმაში მისათითებელი რეკვიზიტები, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციებიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

ასევე დიპლომის დაკარგვის გამო უნივერსიტეტს განცხადებით მომართა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ თამარ მანგოშვილმა. საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ 2006 წელს მაგისტრანტების აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის წინაშე წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საფუძველზე, სადაც ფორმდებოდა საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე კი გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. თამარ მანგოშვილის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული მოკვლევის დროს აღმოჩნდა შემდეგი: 2006 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ თსუ რექტორის სახელზე გაგზავნილია წერილი 2006 წლის სამაგისტრო ნაშრომის

დაცვის საატესტაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. წერილს თან ახლდა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის განრიგი (იხ. დანართი №4.) (წერილის №04-3/8, 11.05.2006). სამაგისტრო ნაშრომების დაცვის განრიგის მიხედვით, ფაკულტეტზე არსებული, მოძიებული სხდომის ოქმებიდან არ არის 2006 წლის 17, 19, 20 და 21 ივნისს ჩატარებული სამაგასტრო ნაშრომების დაცვის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები.

თამარ მანგოშვილი 2004 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძ.№4/1093, 28.09.2004). მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება მისი სწავლების ფაქტი, ასევე, ფაკულტეტზე არის მისი დიპლომის დანართის ელექტრონული ვერსია. 2006 წელს თამარ მანგოშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაციით სამშენებლო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორი (ბრძანება №01-04/1408, 27.11.2006). საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ ფაკულტეტზე 2006 წელს 17, 19, 20 და 21 ივნისს ჩატარდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომები, სადაც თამარ მაგოშვილთან ერთად სამაგისტრო თემები დაიცვა სხვადასხავა სპეციალობის მაგისტრატურის კურსმოსმენილებმა, რის საფუძველზეც მიენიჭათ შესაბამისი აკადემიური ხარისხი კვალიფიკაციით, კერძოდ:

- *ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 7 კურსმოსმენილს – მენეჯერის კვალიფიკაციით; საწარმოო მენეჯმენტის სპეციალობის 7 კურსმოსმენილს – წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით; მცირე ბიზნესის ორგანიზაციის სპეციალობის 7 კურსმოსმენილს - მცირე ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით; სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის სპეციალობის 2 კურსმოსმენილს – სამრეწველო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით; სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის სპეციალობის 7 კურსმოსმენილს – სამშენებლო წარმოების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით; საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალობის 10 კურსმოსმენილს – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერის კვალიფიკაციით (იხ. დანართი №5.).*
- *მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის 5 კურსმოსმენილს – მენეჯერის კვალიფიკაციით (იხ. დანართი №6.).*
- *ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ ინფორმატიკა საბანკო, საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო საქმის სპეციალობის 4 კურსმოსმენილს – საბანკო საფინანსო და ფისკალურ სფეროში ინფორმატიკის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით; ფირმის ეკონომიკის სპეციალობის 5 კურსმოსმენილს – მიკროეკონომიკური სტრუქტურების მენეჯერის კვალიფიკაციით; ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის სპეციალობის 4 კურსმოსმენილს – ინფორმატიკის მენეჯერის კვალიფიკაციით; მენეჯმენტი განათლების სფეროს 1 კურსმოსმენილს – განათლების სფეროს მენეჯერის კვალიფიკაციით; მენეჯმენტის სოციალურ*

სფეროს 5 კურსმოსმენილს – სოციალური ორგანიზაციების მენეჯერის კვალიფიკაციით; ეკონომეტრიკის სპეციალობის 4 კურსმოსმენილს – ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით; სამრეწველო წარმოების ეკონომიკის 6 კურსმოსმენილს – სამრეწველო სექტორის მენეჯერის კვალიფიკაციით და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და მართვის სპეციალობის 10 კურსმოსმენილს – სახელმწიფო დაწესებულებათა ადმინისტრატორის კვალიფიკაციით (იხ. დანართი №7.).

ვინაიდან, არ იძებნება თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საატესტაციო კომისიის მიერ 2006 წელს 17, 19, 20 და 21 ივნისს ჩატარებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვების და მათ შორის, თამარ მანგოშვილისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები მიზანშეწონილია განისაზღვროს/აღდგეს დიპლომში მისათითებელი გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღი და ნომერი. გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2006 წლის კურსდამთავრებულ იაშარ დოსიევმა მისანიჭებელ ხარისხში დაშვებული შეცდომის გამო მომართა უნივერსიტეტს დიპლომის შეცვლის თაობაზე. მის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რაც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. აღნიშნული საკითხის საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ 2006 წელს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. შემდეგ გამოიცემოდა ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის კურსდამთავრებულ იაშარ დოსიევზე ჩატარდა ადმინისტრაციული მოკვლევა და დადგინდა, რომ იაშარ დოსიევი 2002 წელს მისაღები გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მართვის სახელმწიფო ინსტიტუტში ფასიანი სწავლების დაუსწრებელი განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით (ბრძანება №02/36, 15.X.2002). 2005 წელს III კურსის სტუდენტი იაშარ დოსიევი ამოირიცხა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მართვის სახელმწიფო ინსტიტუტიდან (ბრძანება №02/04, 02.02.2005) და ჩაირიცხა თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალში ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით (ბრძანება №01/02/01, 24.02.2005). 2006 წელს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №53/01, 27.07.2006 - საფუძველი: დეკანის წარდგინება, 2006 წლის 3 ივლისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება). იაშარ დოსიევის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან დასტურდება მისი სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი. ვინაიდან, იაშარ

დოსიევის სახელზე გაცემულ დიპლომში მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 6 ივნისის სხდომაზე დადგა საკითხი თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ იაშარ დოსიევის ამავე ფილიალის რექტორის #53/01, 27.07.2006 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ იაშარ დოსიევისთვის მინიჭებული ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. რადგან, არ იძებნება ყოფილი თსუ ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ 2006 წლის კურსდამთავრებულ იაშარ დოსიევისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი), მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ფილიალის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

უნივერსიტეტს განცხადებით მომართეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ახვლედიანმა და ნინო რევიშვილმა დიპლომში არასწორად მითითებული აკადემიური ხარისხის გამო და გიორგი ჯიქიამ – დიპლომის დაკარგვის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი. ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ 2007 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2007 წლის კურსდამთავრებულებზე (ნიკოლოზ ახვლედიანი, გიორგი ჯიქია და ნინო რევიშვილი) ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგინდა, რომ:

- *ნიკოლოზ ახვლედიანი 2003 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დასწრებული არასაბიუჯეტო სწავლების ჰიდროლოგიისა და ჰიდროეკოლოგიის სპეციალობაზე (ბრძანება №4/862, 26.08.2003). 2004 წლის სექტემბრიდან იგი გადაყვანილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის სწავლების არასაბიუჯეტო სექტორის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესს სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/791, 12.07.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მან*

აითვისა 246 კრედიტი. თსუ რექტორის 2007 წლის 6 დეკემბრის №1592/02 გრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2007 წლის კურსმოსმენილ ნიკოლოზ ახვლედიანს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით. ვინაიდან, ნიკოლოზ ახვლდიანისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 გრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ-თათვის თსუ რექტორის №1592/01-04, 06.12.2007 გრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ აღნიშნულ გრძანებაში შევიდეს ცვლილება და მოხდეს მინიჭებული ხარისხის კორექტორება: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად ნიკოლოზ ახვლედიანს მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №15, 13.12.2013).

- *გიორგი ჯიქია 2000 წელს ჩაირიცხა თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული ფასიანი სწავლების ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/796, 15.09.2000). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 260 კრედიტი. თსუ რექტორის მიერ გამოცემულ 2008 წლის 29 მაისის №728/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსმოსმენილ გიორგი ჯიქიას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით. ვინაიდან, მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 13 იანვრის სხდომაზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალვრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის №728/01-04, 29.05.2008 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ გიორგი ჯიქიას ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ფინანსისტის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*

- *ნინო რევიშვილი 2003 წელს გადმოყვანის წესით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დაუსწრებელი სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის მეორე კურსზე ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ბრძანება №4/1647, 5.12.2003). სწავლის შედეგებიდან ჩანს, რომ ბაკალავრის*

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მან აითვისა 259 კრედიტი. თსუ რექტორის 2007 წლის 10 აგვისტოს №772/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო რევიშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №04-2/203, 26.07.2007). თსუ რექტორის 2007 წლის 5 ოქტომბრის №1099/01-04 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება რექტორის ბრძანებაში №772/01-04, 10.08.2007 და დაუსწრებელი განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნინო რევიშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფინანსისტის კვალიფიკაციით (ბრძანება №1099/01-04, 5.10.2007 – საფუძველი: დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №13935/02, 28.09.2007). ვინაიდან, ნინო რევიშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის BN№007923 დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ, 2014 წლის 6 ივნისს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის №772/01-04, 10.08.2007 ბრძანებით მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნინო რევიშვილს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ფინანსისტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე მათი სწავლის ფაქტი. მათ მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მათ სახელზე გაიცა ბაკალავრის დიპლომები.

საქმისწარმოებისას გაირკვა, რომ თსუ რექტორის 2007 წლის 6 დეკემბრის №1592/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№17630/02, 30.11.2007). ფაკულტეტზე არსებობს აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია, რომლითაც ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2007 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №1) შესაბამისი აკადემიური ხარისხი ნიკოლოზ ახვლედიანთან ერთად მიენიჭათ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსმოსმენილს რომან მუქერიას, ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსმოსმენილ დავით პაპიძეს და სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესის საერთაშორისო ვაჭრობის სპეციალობის 2007 წლის კურსმოსმენილ მარინა მეგრელიშვილს.

თსუ რექტორის 2008 წლის 29 მაისის №728/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება (№8144/02, 16.05.2008). ფაკულტეტზე არის აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა

სპეციალობების კურსმოსმენილებს 2007 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №1) მიენიჭათ აკადემიური ხარისხი შესაბამისი კვალიფიკაციით (იხ. დანართი №8.).

თსუ რექტორის 2007 წლის 10 აგვისტოს №772/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარგინება (№04-2/203. 26.07.2007). ფაკულტეტზე არსებობს აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №2 მიენიჭათ აკადემიური ხარისხი, შესაბამისი კვალიფიკაცით (იხ. დანართი №9.).

საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007 წელს მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ეკონომიკის მიმართულებით შექმნილი იყო ერთი ოქმი – 2007 წლის 26 სექტემბრის სხდომის ოქმი №1, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით - 5 ოქმი: 2007 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმი №1; 2007 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №2; 2007 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი №3; 2007 წლის 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი №1 - ორი განსხვავებული შინაარსით. ფაკულტეტზე არსებულ წარდგინებების ელექტრონულ ვერსიებში, აგრეთვე, მოხსენებულია 2007 წლის 4 სექტემბრის სხდომის ოქმი №2, რომელიც არ იძებნება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეკონომიკის მიმართულების ოქმზე არის როგორც კომისიის თავმჯდომარის, ისე სწავლული მდივნის ხელმოწერა, ხოლო ბიზნესის მიმართულების 20 აპრილის, 30 აპრილის და 29 სექტემბრის სხდომების ოქმებს ხელს აწერს მხოლოდ სწავლული მდივანი. რაც შეეხება 12 ოქტომბრის სხდომის ოქმს, ერთზე ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მეორეზე როგორც კომისიის თავმჯდორე, ისე სწავლული მდივანი.

ვინაიდან, ფაკულტეტზე მოიძებნა მხოლოდ სწავლული მდივნის მიერ ხელმოწერილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმი №1, 2007 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №2 და 2007 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი №3. ჩვენ 2007 წლის საატესტაციო კომისიის სწავლულ მდივანს ქალბატონ ფიქრია წოწკოლაურს ვთხოვეთ აღნიშნული ოქმების სისწორის დადასტურება, რაზედაც თანხმობა მივიღეთ. ქალბატონ ფიქრია წოწკოლაურმა წერილობით დაგვიდასტურა იმ პერიოდში შედგენილი ოქმების სისწორე.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ 2007 წლის 20 აპრილის, 30 აპრილის და 29 სექტემბრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. რადგან ოქმებზე მითითებულია გადაწყვეტილების თარიღები და ნომრები, მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი. რადგან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 26 სექტემბრის

სხდომის ოქმი №1 და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი №1 ზოგადი სახისაა (კერძოდ, მათში არ არის მითითებული კურსდამთავრებულთა გვარები), მიზამშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ თამარ ბერიძემ უნივერსიტეტს მომართა დიპლომის შეცვლის თაობაზე მინიჭებული აკადემიური ხარისხში დაშვებული შეცდომის გამო. კურსდამთავრებულის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისიწნებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქმისწარმოებისას დადგინდა, რომ თამარ ბერიძე სწავლობდა თსუ-ს ყოფილის ფოთის ფილიალში, რომლის ლიკვიდაციის პროცესი, სხვა ფილიალებთან ერთად, 2007 წლის 23 ივლისიდან დაიწყო (რექტორის ბრძანება №65/01-01, 20.07.2007). იმ მიზნით, რომ სტუდენტები არ დაზარალებულიყვნენ 2006-2007 სასწავლო წლის ზაფხულში დაინიშნა დამატებითი ზაფხულის სემესტრი 25 ივნისიდან 15 სექტემბრამდე (სააუდიტორიო მეცადინეობები) – რექტორის ბრძანება №57/01-04, 26.06.2007. კურსდამთავრებულ სტუდენტებს ხარისხი მიანიჭა ყოფილი ფოთის ფილიალმა (წერილთან თანდართული დოკუმენტებში არ ჩანს მინიჭების მექანიზმი). თამარ ბერიძის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებაში დაშვებული იყო შეცდომა. თსუ-ს რექტორის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1826/01-04 ბრძანებით მისანიჭებელ ხარისხში დაშვებული შეცდომის გამო გაუქმდა ეკონომიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ თამარ ბერიძის სახელზე გაცემული დიპლომი. ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად დიპლომში მიეთითა სოციალური მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი (№1911/01-04, 15.10.2013). თამარ ბერიძის სახელზე გაცემული ბაკალავრის BN№000387 დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას (სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის ნაცვლად უნდა მინიჭებოდა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი). 2014 წლის 25 აპრილს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დადგა კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების საკითხი. საბჭომ დაადგინა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №1911/01-04, 15.10.2013, რომლითაც ცვლილება შევიდა 2007 წლის კურსდამთავრებულის თამარ ბერიძის სახელზე გაცემულ დიპლომში

სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ჩასწორდეს როგორც ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

თამარ ბერიძის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან დასტურდება მისი სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი. საქმის გარემოებიდან გამომდინარე, რადგან არ იძებნება თსუ-ს ყოფილის ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების (ოქმი) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილია განისაზღვროს/აღდგეს დიპლომში მისათითებელი ოქმის თარიღი და ნომერი. მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითის აღსანიშნავად დაემატება ასო ,,პ".

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული შემაჯამებელი სხდომის ოქმები და დადგინდეს:

- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სამრეწველო პროდუქციის საქონლმცოდნეობა და კომერციის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. მამუკა არაბული) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 29 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმის „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე-კომერსანტის" კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 29 ივნისი*** და ოქმის ნომრად ***№6/3.***
- ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის განყოფილების მასობრივი კვების მენეჯერის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 11 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმის, რომლის საფუძველეც *ზვიად აბულაძეს* მიენიჭა „ეკონომისტის" კვალიფიკაცია, თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 11 ივნისი*** და ოქმის ნომრად ***№1/3.***
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს **1999 წლის 29 ივნისის** სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე, რომელთაც მიენიჭათ

„უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე-კომერსანტის“ კვალიფიკაცია და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. დანართი №2).*

2. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის 24 ოქტომბრის საატესტაციო კომისიის მიერ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და დადგინდეს:

   - დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის - თამარ ტყემალაძე და ციური ირემაშვილი, დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის - გოგი ხულელიძე და დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის - ნუგზარ უძილაური 2006 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 31 იანვარი*** და ოქმის ნომრად ***№33/3.***

   - ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ რექტორის 2007 წლის 31 იანვრის №33/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. დანართი №3.)*

3. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საატესტაციო კომისიის მიერ 2006 წლის 17, 19 20 და 21 ივნისს ჩატარებული სამაგისტრო ნაშრომების დაცვების შედეგად ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და განისაზღვროს/აღდგეს დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები. გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“. კერძოდ;

   - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 2006 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ თამარ მანგოშვილის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2006 წლის 27 ნოემბერი*** და ოქმის ნომრად ***№1408/3.***

   - ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ რექტორის №01-04/1408, 27.11.2006 ბრძანებაში მითითებულ იმ კურსდამთავრებულებზე, რომელთაც სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ჰქონდათ 2006 წლის 17, 19, 20 და 21 ივნისს და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს

ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. დანართი №5., დანართი №6. და დანართი №7.).*

4. საბჭომ თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილაილის 2006 წლის კურსდამთავრებულ იაშარ დოსიევზე დაადგინა:

   თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2006 წლის კურსდამთავრებულ იაშარ დოსიევის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2006 წლის 27 ივლისი***, ხოლო ოქმის ნომრად ***№53/3.***

5. აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ 2007 წლის 20 აპრილის, 30 აპრილის და 29 სექტემბრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. რადგან, ოქმებზე მითითებულია გადაწყვეტილების თარიღები და ნომრები, მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი. რადგან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი №1 და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი №1 ზოგადი სახისაა, მიზამშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“. ამრიგად:

   - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ახვლედიანის, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ რომან მუქერიას, ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ დავით პაპიძეს და სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ მარინა მეგრელიშვილის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 6 დეკემბერი*** და ოქმის ნომრად ***№1592/3.***
   - თსუ რექტორის №728/01-04, 29.05.2008 ბრძანების თანახმად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს მ.შ. გიორგი ჯიქია, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2008 წლის 29 მაისი*** და ოქმის ნომრად ***№728/3.***
   - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმი №1-ის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი.

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. ნინო რევიშვილი) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №2-ის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი №3-ის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს თსუ რექტორის №728/01-04, 29.05.2008 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. დანართი №8.)*, ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2007 წლის 20 აპრილის სხდომის ოქმი №1-ში *(იხ. დანართი №10.)*, 2007 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი №2-ში *(იხ. დანართი №9.)* და 2007 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი №3-ში *(იხ. დანართი №11.)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივუდუალური მომართვის შემთხვევაში.

6. საბჭომ თსუ ყოფილი ფოთის ფილაილის 2007 წლის კურსდამთავრებულ თამარ ბერიძეზე დაადგინა:

   თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ თამარ ბერიძის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 28 სექტემბერი***, ხოლო ოქმის ნომრად ***№13/3.***

მიმდინარე საკითხები.

1. **დეკანი ბატონი თ. ბერიძე** - თქვენ დაგირიგდათ პროფესორ იაკობ მესხიას და შოთა შაბურიშვილის მივლინების ანგარიში. მოგეხსენებათ, რომ პროფესორები რომლებიც მიდიან სამეცნიერო მივლინებაში ანგარიშვალდებულნი არიან საბჭოს წინაშე. საკმაოდ ბევრი დაგროვდა ასეთი ანგარიშგება, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე დაგზავნოდა საბჭოს წევრებს და გაცნობოდნენ რა შედეგებით დაბრუნდნენ პროფესორები მივლინებიდან.
2. **ქალბატონი მანანა ლობჟანიძე** - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე–III მუხლის, მე–8 პუნქტის, 8.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, 2011 წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის სავალდებულოა სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული 3 კოლოქვიუმი ***(თითოეული 5 კრედიტი)***, ახალი აკრედიტებული სადოქტორო პროგრამით დოქტორანტის კოლოქვიუმი ***სასწავლო კომპონენტიდან*** გადავიდა ***კვლევით კომპონენტში*** და ნაცვლად ***სამი – 5 კრედიტიანი*** კოლოქვიუმისა, სავალდებულოა ***ორი – 20 კრედიტიანი*** კოლოქვიუმი.

გარდამავალი დოქტორანტების საკითხის დარეგულირების მიზნით და აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის #44/2014 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგული სადოქტორო პროგრამებიდან თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანილი დოქტორანტებისათვის წარმოგიდგენთ სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის პროექტს:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას ***ორი – 5 კრედიტიანი*** კოლოქვიუმი ჩაეთვალოთ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - ***სადოქტორო სემინარი*** - ***10 კრედიტი*** და გათავისუფლდნენ ახალი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სადოქტორო სემინარის ***(15 კრედიტი)*** დაცვის ვალდებულებისაგან.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის პროექტი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე